მცხეთობა

დღეს ქართველი ერი ეღესასწაულობს „მცხეთობას“, ანუ, საეკლესიო ტერმინოლოგია რომ ეიხმაროთ,—„კათოლიკე ეკლესიისა, სვეტისა წმიდისა და კვართისა საუფლოისა“ დღეობას. იქნება ბევრნი არც კი იცნობდეს ამ სიტყვების ისტორიულ შინაარსს, ამიტომ მოკლედ გავიხალისწინებთ მათ მნიშვნელობას.

მატიანეს სიტყვით, როდესაც ელიოზმა იერუსალიმიდგან მცხეთას მოიტანა მაცხოვრის კვართი ანუ პერანგი, მას მიეგება მისი და სიდონია, რომელმაც გულში ჩაიკრა ეს კვართი და იქვე სული განუტევა. იმ ადგილას, სადაც ის დაასაფლავეს გულში კვართჩახუტებული, ამოვიდა კვიპაროზის ხე. როდესაც წმიდა ნინომ მონათლა ქართველები, მირიან მეფემ სიდონიას 4 კვართის საფლავზე ააშენა მცხეთის ტაძარი, რომელსაც მისი სიდიადისა და ცენტრალ მნიშვნელობის გამო ეწოდა „კათოლიკე“ ეკლესია. კვიპაროზი, რომელიც ამ საფლავზე იყო, მოსპრეს და ეკლესიის დედა-ბოძად მოიხმარეს. ბევრი ცდა და ზრომა დაუჯარჯეს ოსტატებმა, მაგრამ მაინც ვერ მოახერხეს ამ ბოძის აღმართვა; ბოლოს, წმიდა ნინოს ვედრებით, ის თავის-თავად აღემართა და იწყო სასწაულთა ჩვენება.

ამნაირად, „კათოლიკე ეკლესია“, რომელიც „საშვალ საშოისა თვისისა“ შეიცავს „სვეტსა ცხოველსა და კვართსა საუფლოსა“, ჩვენ გვაგონებს ქართველების გაქრისტიანებას და წმ. ნინოს და მირიანის ღვაწლს ამ საქმეში. „მცხეთობა“ საქართველოს ეკლესიის ერთი უძველეს დღესასწაულთაგანია, რომელიც თან და თან ვითარდებოდა, სანამ დღევანდელი სახე არ მიიღო მეთორმეტე საუკუნეში, როდესაც გამოჩენილმა ნიკოლოზ კათალიკოზმა შეამკო ის შინაარსიან, ენა-წყლიან და ზეაღმაფრენ საგალობლებით და „გიბაროდენით“. კვართი უფლისა საქართველოში შეიქნა სიმბოლოდ არამც თუ ეკლესიისა, არამედ ცხოვნებისა და სახელმწიფოისა; ქართველი მეფეები მას ჰხატავდნენ თავიანთ ღერბში. „მცხეთობა“ არის ჩვენი კულტურის და ისტორიის ფოკუსი. „კათოლიკე ეკლესიის“ აშენებიდგან და მასში სვეტი-ცხოველის აღმართვიდგან ჩვენში იწყება ახალი ხანა, რომელმაც ერთხელ და სამუდამოდ გამოარკვია ჩვენი ისტორიული სვე-ბედი. დღეს ჩვენ თუ შეგვერჩენია „ქართველის“ სახელი, დღეს ჩვენ თუ გვატკბობს ენა ქართული, — ეს „მცხეთობის“ მეოხებით, ვინაიდგან მცხეთაში მომხდარმა ფაქტმა, რომელსაც დღეს ეიგონებთ, შექმნა და განამტკიცა ქართული ეროვნული და პოლიტიკური ორგანიზმი. ტყუილად კი არ ამბობდა მეცხრე საუკუნის გამოჩენილი მოღვაწე გრიგოლ ხანძთელი, რომ საქართველო ის არის, სადაც ქართულ ენაზე გაისმის ღვთის დიდებაო, და ეს ღვთის-დიდება კი მომდინარეობს მცხეთიდგან. მართალია, დღეს ჩვენთვის ამ დღესასწაულს იმდენი სარწმუნოებრივი სიცხოველე აღარ აქვს, როგორც წინედ, მაგრამ ის ეხლა ჩვენთვის უფრო ძვირფასი უნდა იყოს, როგორც ეროვნულ იდეის გამომხატველი და მატარებელი. ამისთვის ყოველი შეგნებული ქართველი, ყველა ის, ვისთვისაც „ქართველის“ სახელწოდებას რაიმე მნიშვნელობა და ფასი აქვს, ვალდებულია მივიდეს დღეს მცხეთაში და თაყვანი სცეს თვისი კულტურის, ეროვნების და პოლიტიკური წარსულის აკვანს და ემბაზს. ამით გავახარებთ მირიან მეფის აჩრდილს, რომელიც გულდამშვიდებით ეტყვის ნინოს, ქეთევანს და თეით ღვთის-მშობელს: „აჰა მე და შვილნი ჩემნი“, რომელნიც დღეს მოვიგე მეო!

ქართველი.